



საინფორმაციო დოკუმენტები

SG/Inf(2020)11

7 აპრილი, 2020

დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა COVID-19-ის სანიტარული კრიზისის პირობებში

ინსტრუმენტების წყება წევრი სახელმწიფოებისთვის

წინამდებარე დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი მომზადდა პროექტის - „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მთავრობები უზრუნველყოს ინსტრუმენტებით უპრეცედენტო და მასობრივი მასშტაბის მიმდინარე სანიტარულ კრიზისთან გასამკლავებლად, ისეთი გზით, რომელიც ითვალისწინებს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი ღირებულებების პატივისცემას.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან იმ ზომების მიღებისას, რომლებიც მიემართება მათი მოსახლეობების დაცვას COVID-19-ის საფრთხისგან. ასევე გვსმის, რომ შეუძლებელია საზოგადოების ჩვეული ფუნქციონირების შენარჩუნება, განსაკუთრებით, ისეთი ძირითადი დამცავი ღონისძიების გატარებისას, როგორცაა ვირუსთან საბრძოლველად აუცილებელი იზოლაცია. ამავდროულად, გასაგებია, რომ მიღებული ზომები გარდაუვლად გამოიწვევს იმ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას, რომლებიც კანონის უზენაესობის დაცვაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია.

წვერი სახელმწიფოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევა გულისხმობს ეფექტიან რეაგირებას კრიზისზე. ამავდროულად, გატარებულმა ღონისძიებებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას ჩვენს ჭეშმარიტ გრძელვადიან ინტერესებს, როგორცაა დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი ღირებულებების დაცვა. სწორად აქ უნდა განახორციელოს ევროპის საბჭომ მისი ძირითადი მანდატი და თავისი საკანონმდებლო ორგანოების, ყველა კომპეტენტური უწყებისა და მექანიზმის საშუალებით, შესთავაზოს ფორუმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ღონისძიებების თანაზომიერებას ვირუსის გავრცელების საფრთხესთან, ასევე, ამ ღონისძიებების შესაბამისი დროით დაწესებას. ვირუსი მრავალ სიცოცხლესა და ჩვენთვის ძვირფას რამეს შეიწირავს. ამიტომ, მას არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ გაანადგუროს ჩვენი ძირითადი ღირებულებები და თავისუფალი საზოგადოებები.

1. კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი)

COVID-19-ის მიმდინარე საფრთხეზე რეაგირების ფარგლებში გატარებულ ღონისძიებათა მასშტაბისა და განხორციელების გზების კონტექსტში, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს.

წვერი სახელმწიფოების მიერ მიღებულ ზოგიერთ შეზღუდვას შეიძლება ამართლებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) დებულებები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვას ეხება (იხ. კონვენციის მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტი და მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტი, ასევე კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი), თუმცა განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა შეიძლება მოითხოვს გადახვევა სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან. თითოეულმა სახელმწიფომ თავად უნდა შეაფასოს, რამდენად საჭიროებს ამგვარ გადახვევებს მის მიერ მიღებული ზომები, კონვენციით დაცულ ადამიანის უფლებასა და თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების ფორმიდან და მასშტაბიდან გამომდინარე. სახელმწიფოების მიერ ამის განხორციელება სისტემის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც კონვენციისა და მისი საზედამხებველო მექანიზმის უწყვეტი ფუნქციონირების საშუალებას იძლევა ყველაზე კრიტიკულ დროშიც კი.¹

¹ მინისტრთა კომიტეტის პასუხი PACE-ის რეკომენდაციაზე 2125 (2018).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სასამართლო) შეაფასებს ნებისმიერ გადახვევას მისთვის განსახილველად წარდგენილ საქმეებზე.² სასამართლო ამ სფეროში სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლებს ანიჭებს: „უპირველეს ყოვლისა, თითოეული ხელშემკვერელი სახელმწიფო, რომელიც „[მისი] ერის სიცოცხლეზე“ პასუხისმგებელი, განსაზღვრავს თუ რამდენად უქმნის საფრთხეს ადამიანების სიცოცხლეს „საგანგებო მდგომარეობა“ და, ასეთ შემთხვევაში, რამდენად აუცილებელია შორსმდევარი ზომების განხორციელება საგანგებო მდგომარეობის დასაძლევად. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული ხელისუფლება უშუალოდ და უკეთ იცნობს მიმდინარე საჭიროებებს, საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით, მას უკეთესად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად არსებობს ამგვარი საგანგებო ვითარება და რა სახისა და მასშტაბის გადახვევებია აუცილებელი მისი თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივ, კონვენციის 15(1) მუხლი ხელისუფლებას მიხედულების ფართო ფარგლებს უტოვებს.“³ გადახვევა ასევე ექვემდებარება ფორმალურ მოთხოვნებს: ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, როგორც კონვენციის დეპოზიტარი, სრულად უნდა იყოს ინფორმირებული განხორციელებული ღონისძიებების, მათი განმაპირობებელი მიზეზებისა და მოქმედების შეწყვეტის დროის შესახებ. (<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/webContent/62111354>).

დაუშვებელია კონვენციით დაცული გარკვეული უფლებებიდან გადახვევა. ესენია: სიცოცხლის უფლება, გარდა კანონიერი საომარი მოქმედებების კონტექსტისა (მე-2 მუხლი); წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი); მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხლი 4 (1)); და წესი „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“ (მე-7 მუხლი). ასევე დაუშვებელია გადახვევა სიკვდილით დასჯის გაუქმების ან იმავე დანაშაულში ხელმეორედ გასამართლების და დასჯის აკრძალვიდან (მე-6 და მე-13 ოქმები, ისევე როგორც მე-7 ოქმის მე-4 მუხლი).

მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევები არ არის დამოკიდებული ეროვნულ დონეზე საგანგებო მდგომარეობის ან მსგავსი რეჟიმის ოფიციალურ გამოცხადებაზე. ნებისმიერი გადახვევა უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს თვითნებობისგან დაცვა; ამავდროულად, გადახვევა უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი საგანგებო ვითარების წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნებისმიერი ღონისძიებები მიზნად ისახავდეს დემოკრატიული წყობის საფრთხეებისგან დაცვას და ყველა შესაძლო ძალისხმევა მიემართებოდეს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებათა პატივისცემას, როგორცაა პლურალიზმი, შემწყნარებლობა და ღიაობა.⁴ სასამართლოს აზრით, კონვენციით გათვალისწინებული დათქმებით შესაძლებელია კონვენციის სტანდარტებიდან გადახვევის დასაბუთება, თუმცა ისინი ვერასდროს გაამართლებს რაიმე ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს - კანონიერებასა და თანაზომიერებას.

2. კანონის უზენაესობის პატივისცემა და დემოკრატიული პრინციპები საგანგებო ვითარების დროს

2.1. კანონიერების პრინციპი

საგანგებო ვითარების დროსაც კი კანონის უზენაესობა უპირატესი უნდა იყოს.⁵ კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპია, სახელმწიფოს ქმედება შეესაბამებოდეს კანონს.⁶ „კანონი“ ამ კონტექსტში მოიაზრებს არა მხოლოდ საპარლამენტო აქტებს, არამედ, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო განკარგულებებსაც, იმ პირობით, თუ მათ საკონსტიტუციო საფუძვლები აქვს. მრავალი კონსტიტუცია ითვალისწინებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმ(ებ)ს, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებებს ზრდის ომის ან მნიშვნელოვანი სტიქიური თუ სხვა სახის უბედურებისას.⁷ შესაძლებელია,

² იხ. სახელმძღვანელო კონვენციის მე-15 მუხლის შესახებ (31 დეკემბერი, 2019) გამოქვეყნებულია სასამართლო რეესტრის მიერ.

³ *ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, 18.01.1978, სერია A No 25, პუნქტი 207.

⁴ *მეჰმეტ ჰასან ალთანი თურქეთის წინააღმდეგ*, §§ 94 და 210; და *საჰინ ალფაი თურქეთის წინააღმდეგ*, §§ 78 და 180.

⁵ იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრება საგანგებო ვითარებისას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, CDL-AD(2006)015, პუნქტი. 13.

⁶ იხ. ვენეციის კომისიის კანონის უზენაესობის კითხვარი (CDL-AD(2016)007), პუნქტები. 44 და 45.

⁷ 2020 წლის 29 მარტის მდგომარეობით, 22 წევრ სახელმწიფოს ჰქონდა გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა.

კანონმდებლებმა მიიღონ საგანგებო კანონებიც, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი კრიზისის დასაძლევად და სცილდება უკვე არსებულ სამართლებრივ ნორმებს. ამ ტიპის ნებისმიერი ახალი კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო სტანდარტებს და, საჭიროების შემთხვევაში, გადაისინჯოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუ პარლამენტს სურს, მთავრობას მიანიჭოს უმრავლესობის მიერ (ან სხვა სპეციალური პროცედურის შედეგად) მიღებული კანონმდებლობიდან გადახვევის უფლებამოსილება, ეს უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის მხრიდან, ან იმავე სპეციალური პროცედურის შესაბამისად.

2.2. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და საგანგებო ღონისძიებების შეზღუდული ხანგრძლივობა

საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობებს შეიძლება მიენიჭოთ კანონის ძალის მქონე განკარგულებათა გამოცემის ზოგადი უფლებამოსილება. ეს მისაღებია იმ პირობით, რომ ზოგადი უფლებამოსილებებს ექნება შეზღუდული ხანგრძლივობა. საგანგებო მდგომარეობის (ან ანალოგიური) რეჟიმის მთავარი მიზანია კრიზისის განვითარების შეჩერება და ნორმალური მდგომარეობის შექმნის დაგეგმვა სწრაფი აღდგენა.⁸ საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას უნდა აკონტროლებდეს პარლამენტი, რაც გულისხმობს ასეთი რეჟიმის აუცილებლობის შესწავლას. დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი განსაკუთრებული უფლებამოსილებების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნება.⁹ საგანგებო მდგომარეობისას, აღმასრულებელი ხელისუფლების კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლებოდეს საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობით; ამასთან, საგანგებო ვითარებისას ამოქმედებული ნებისმიერი კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო ვადას განსაკუთრებული ღონისძიებების ხანგრძლივობის შესახებ (ე.წ. „მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ“ დებულება (sunset clause)). მართლაც, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული კონკრეტული, მიზნობრივი ღონისძიებების გამოყენება, მაგრამ ამგვარი გაფართოებული ღონისძიებები უნდა წარმოადგენდეს პარლამენტის კომპეტენციას, ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით.¹⁰

2.3. საგანგებო მდგომარეობის კანონმდებლობის მოქმედების შეზღუდული სფერო; აუცილებლობის პრინციპი

აუცილებლობის პრინციპი მოითხოვს, რომ საგანგებო ღონისძიებებმა შეძლონ დასახული მიზნის მიღწევა დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების ნორმალური წესებისა და პროცედურებისგან მინიმალური გადახვევით.¹¹ შესაბამისად, მთავრობის უფლებამოსილება, გამოსცეს საგანგებო განკარგულებები, არ გულისხმობს კანონმდებლის მიერ აღმასრულებელისთვის მინიჭებულ „ვარტ ბლანშს“. კრიზისის სწრაფი და არაპროგნოზირებადი განვითარების გათვალისწინებით, შესაძლოა, საჭირო გახდეს საკმაოდ ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება, თუმცა ისინი მოცემულ გარემოებებში განსაზღვრული უნდა

⁸ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „რაც უფრო დიდხანს გრძელდება საგანგებო რეჟიმი, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ სახელმწიფო დაშორდეს იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლითაც ამართლებდა თავდაპირველ საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭებას. რაც მეტ ხანს გრძელდება ვითარება, მით ნაკლებია დასაბუთება იმისა, რომ ვითარება მისი ხასიათით მივიჩნიოთ განსაკუთრებულად, რომლის დროსაც ჩვეულებრივი სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლებელია.“ - ვენეციის კომისია, თურქეთი - მოსაზრება საგანგებო მდგომარეობის განკარგულებათა შესახებ N°5667-676 2016 წლის 15 ივლისის წარუმატებელი გადატრიალების შემდეგ, CDL-AD(2016)037, პუნქტი. 41

⁹ [CommDH\(2002\)7, მოსაზრება 1/2002 გაერთიანებული სამეფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გადახვევის გარკვეული ასპექტების შესახებ](#), პუნქტი 25; ასევე იხ. ვენეციის კომისიის [პარამეტრები დემოკრატიულ სახელმწიფოში საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის შესახებ](#); კითხვარი. (CDL-AD(2019)019), პუნქტი. 119).

¹⁰ იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) რეზოლუცია 1659 (2009), ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო ვითარების დროს, გვ. 12; ასევე იხ. ზემოთ მოყვანილი კანონის უზენაესობის კითხვარი და კონვენციის მე-15 მუხლი („დათქმა საგანგებო ვითარების დროს“); სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 27-ე მუხლი. აგრეთვე იხ. ვენეციის კომისიის ანგარიშები საგანგებო უფლებამოსილებათა შესახებ (CDL-STD (1995) 012) და საგანგებო ვითარებებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ (CDL-AD (2006) 015).

¹¹ აუცილებლობის პრინციპი უშუალოდ არ არის მითითებული ინსტიტუციური საგანგებო ღონისძიებების ქრილში, თუმცა შეიძლება გამოდინარეობდეს ადამიანის უფლებათა სფეროში საგანგებო ღონისძიებების თანაზომიერებისა და აუცილებლობის მოთხოვნიდან - იხ. ვენეციის კომისია, [მოსაზრება საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონპროექტი „ერის დაცვის შესახებ“](#), CDL-AD (2016) 006, პუნქტი 71

იყოს შეძლებისდაგვარად ვიწროდ, რათა შემცირდეს ბოროტად გამოყენების ნებისმიერი რისკი.¹² ზოგადი წესის სახით, საგანგებო მდგომარეობისას უნდა შეყოვნდეს ძირეული სამართლებრივი რეფორმები.¹³

2.4. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებათა კონტროლი საგანგებო მდგომარეობისას

აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს სწრაფი და ეფექტიანი მოქმედება. ეს შეიძლება მოითხოვდეს გადაწყვეტილების მიღების გამარტივებულ პროცედურას და კონტროლისა და ბალანსის გარკვეულ შემსუბუქებას; ასევე, მოიცავდეს (კონსტიტუციით დაშვებულ ფარგლებში) ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა სტანდარტული დანაწილებიდან გადახვევას კონკრეტულ, შეზღუდულ სფეროებში. ამის მიზანია მეტად კოორდინირებული რეაგირება კრიზისზე, იმ პირობით, რომ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სრული უფლებამოსილებები აღდგება, როგორც კი შესაძლებელი გახდება ვითარებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ამისა, პარლამენტებმა უნდა შეინარჩუნონ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე¹⁴ კონტროლის უფლებამოსილება. კერძოდ, ეს გულისხმობს გონივრული ინტერვალებით გადამოწმებას, რამდენად გამართლებულია აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო უფლებამოსილებები, ასევე, არაგემურ ჩარევას აღმასრულებლის გადაწყვეტილებათა შესაცვლელად.¹⁵ დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობების განმავლობაში პარლამენტის დათხოვნა. ამასთან, მრავალი კონსტიტუცია ითვალისწინებს პარლამენტის მანდატის საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე გაგრძელებას.

უნდა შენარჩუნდეს სასამართლოს, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ძირითადი ფუნქცია. მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა შეისწავლონ საგანგებო კანონმდებლობით დადგენილი ყველაზე სერიოზული შეზღუდვები ადამიანის უფლებებთან მიმართებით. შეიძლება დაიშვას გარკვეული კატეგორიის საქმეების გადავადება, ასევე, „დაჩქარებული წესით“ ან ჯგუფური განხილვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარი სასამართლო ნებართვის ნაცვლად, საქმის/საკითხის შემდგომი სასამართლო გადასინჯვა (*ex post პროცედურა*) (იხ. აგრეთვე ქვემოთ, 3.2 თავი).

საგანგებო მდგომარეობისას არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარება შესაძლოა პრობლემური იყოს, რადგან კრიზისის დროს კამპანიის წარმოება უკიდურესად შეზღუდულია.

3. ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტები

3.1. სიცოცხლის უფლება (კონვენციის მე-2 მუხლი) და წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი); ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომის უფლება (ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსია, მე-11 მუხლი)

სიცოცხლის უფლება, ასევე, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა, კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს მიეკუთვნება. მათზე არ

¹² [CM \(2008\) 170. მინისტრთა კომიტეტის დოკუმენტი ევროპის საბჭოსა და კანონის უზენაესობის შესახებ](#), გვ. 46; იხილეთ აგრეთვე ვენეციის კომისია, დემოკრატიულ სახელმწიფოში საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთმიმართების პარამეტრები: ჩამონათვალი, (CDL-AD (2019) 019), პუნქტები 119 - 121, და [თურქეთი - მოსაზრება საგანგებო განკარგულების შესახებ N6 s667-676, რომელიც მიღებულ იქნა 2016 წლის 15 ივლისის გადაჭრის მცდელობის შედეგად \(CDL-AD \(2016\) 037\)](#), პუნქტი 98.

¹³ ევროპული კონსტიტუციების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიცავს დებულებებს, რომლებიც კრძალავს საკონსტიტუციო ცვლილებებს ომის, საგანგებო ან მსგავსი ვითარებების დროს. იხ. აგრეთვე [ვენეციის კომისია, თურქეთი - მოსაზრება საგანგებო განკარგულების შესახებ N6 s667-676, რომელიც მიღებულ იქნა 2016 წლის 15 ივლისის გადაჭრის მცდელობის შედეგად \(CDL-AD \(2016\) 037\)](#), პარაგრაფი 80 და 90).

¹⁴ იხ. PACE რეკომენდაცია 1713 (2005), უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული ზედამხედველობა წევრ სახელმწიფოებში გვ. 38.

¹⁵ ვენეციის კომისია, კანონის უზენაესობის კითხვარი (CDL-AD(2016)007), პუნქტი 51.

ვრცელდება რაიმე სახის დათქმა, თუნდაც საგანგებო სიტუაციების დროს, როგორცაა COVID-19. სახელმწიფოებს მუდმივად ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ადამიანები მომაკვდინებელი დაავადებებისა და თანმდევი ტანჯვისგან.¹⁶

კონვენცია მუდმივად მოითხოვს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსგან, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სათანადო სამედიცინო ზრუნვის ხელმისაწვდომობა.¹⁷ წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) გამოაქვეყნა განცხადება [COVID-19 პანდემიის პირობებში თავისუფლებააღკვეთილი პირების მკურნალობასთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ](#). ეს პრინციპები ვრცელდება სხვადასხვა ადგილზე, მათ შორის, პოლიციის საპატიმრო დაწესებულებებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე, საიმპრაციო დაკავების ცენტრებზე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებზე და სოციალური ზრუნვის სახლებზე, ისევე, როგორც სხვადასხვა ახლადშექმნილ დაწესებულებებსა ან ზონებზე, სადაც პირები განთავსებულნი არიან კარანტინში COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე. კომიტეტის პრინციპები ასევე შეეხება ამ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის დაცვის საჭიროებას და დაკავების დაწესებულებებში მონიტორინგის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი, ეროვნული ორგანოებისათვის მუდმივი წვდომის უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა კომისარმა ასევე გამოაქვეყნა [განცხადება: COVID-19 პანდემია: აუცილებელია გადაუდებელი ღონისძიებების გატარება ევროპაში პატიმართა უფლებების დასაცავად](#).

სახელმწიფოს ზრუნვაში მყოფი ადამიანების გარდა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების გამოყენება შეიძლება მიიმედ დაავადებული პაციენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ხანდაზმული პირების მიმართ ([იხ. რეკომენდაცია CM/Rec\(2014\)2](#)) ხანდაზმული პირების ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის შესახებ და ადამიანის უფლებათა კომისიის განცხადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირების შესახებ COVID-19 პანდემიის დროს¹⁸). მათი კონტაქტი დაავადების წყაროსთან და ტანჯვის უკიდურესი დონე შესაძლოა ჩაითვალოს, როგორც სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის დაცვისა და არასათანადო მოპყრობის აღკვეთის პოზიტიურ ვალდებულებებთან შეუსაბამო. ზემოხსენებულ პოზიტიურ ვალდებულებას ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული ვერსია) მე-11 მუხლი ამყარებს. ამ მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ ინფექციურ დაავადებებთან გამკლავების უნარი, ისეთი გზებით, როგორცაა დაავადებათა შესახებ ანგარიშგება, შეტყობინების სისტემის ფუნქციონირება და ეპიდემიის შემთხვევაში ყველა საჭირო გადაუდებელი ღონისძიების გატარება.¹⁹ სახელმწიფოთა მომატებული ყურადღება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ შეესაბამება ადამიანთა ჯანდაცვაზე თანაბარი წვდომის უფლებას ([ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლი](#), ე.წ. „ოვიედოს კონვენცია“).

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მიმდინარე COVID-19 პანდემიის პირობებში პაციენტებისთვის ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპული ფარმაცოპიის შემუშავების შესახებ²⁰ მიზნად ისახავს სამართლებრივი და სამეცნიერო საფუძვლების დანერგვას მედიკამენტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ერთიანი სარეგულაციო ნაშრომის, „ევროპული ფარმაცოპიის“ შემუშავებით. ევროპული ფარმაცოპიის კომისიის ეგიდით, 39 წევრი ქვეყანა და ევროკავშირი, 29 დამკვირვებელი ორგანიზაციის, მათ შორის, ჯანმრთელობის

¹⁶ იხ. სასამართლოს რეესტრის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ფურცელი „პატიმართა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები“.

¹⁷ იხ. *ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ*, no. 59896/00, 26 ოქტომბერი 2006; როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა დეტალურად წარმოადგინა COVID-19 პანდემიის პირობებში თავისუფლებააღკვეთილი პირების მკურნალობასთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ განცხადება „ჯანდაცვის არასათანადო დონემ შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს ისეთი ვითარება, რომელიც არაადამიანური და აღსრულების შემლახავი მოპყრობის ფარგლებში მოექცევა“.

¹⁸ ადამიანის უფლებათა კომისარი, მისი მოღვაწეობისას ხშირად აღნიშნავს, რომ დიდი საცხოვრებელი კომპლექსები, სადაც ხდება პირთა თავისუფლების აღკვეთა შეუსაბამოა შშმ პირთა და ხანდაზმულთათვის და მოუწოდებს პანდემიის წინაშე მდგარ წევრ სახელმწიფოებს შეწყვიტონ ამგვარ დაწესებულებებში მათი მიღება და შეძლებისდაგვარად გადაიყვანონ შშმ პირები, ისევე როგორც მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება დარჩენილი მაცხოვრებლების დაცვისათვის; კომისარის განცხადებები: [COVID-19 პანდემიის ერაში ხანდაზმულ პირებს უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ ვიდრე ოდესმე](#), 20 მარტი, 2020, და [შშმ პირები არ უნდა დარჩნენ COVID-19 პანდემიაზე რეაგირების მიღმა](#), 2 აპრილი, 2020.

¹⁹ ECSR, დასკვნები XVII-2 (2005), ლატვია.

²⁰ ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპული ფარმაცოპიის შემუშავების შესახებ, ETS No. 050, სტრასბურგი, 22 ივლისი 1964, და ევროპული ფარმაცოპიის შემუშავების შესახებ კონვენციის ოქმი, ETS No. 134, სტრასბურგი, 1 ნოემბერი 1989

მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მივლინებულ ექსპერტებთან ერთობლივად მუშაობენ ხარისხის სტანდარტების დასადგენად, რომლებიც მოქმედებს ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოში და გამოიყენება მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში.

დაბოლოს, როგორც კონვენციის, ისე ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, აცნობონ მოსახლეობას პანდემიასთან დაკავშირებული ცნობილი რისკებისა და დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ქვეყნების ან ზომების შესახებ.²¹

3.2. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი) და სამართლიანი სასამართლოს უფლება (მე-6 მუხლი)

COVID-19-ის საპასუხოდ მიღებულმა უპრეცედენტო ღონისძიებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და შეცვალოს სასამართლო სისტემის ჩვეული ფუნქციონირება.

მუხლი 5.1 (ე) განმარტავს, რომ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია ერთ-ერთი საფუძველია, რის გამოც შესაძლებელია პირის თავისუფლების აღკვეთა. ამგვარი ღონისძიების გამოყენებამდე, სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში და განიხილონ, თუ რამდენად წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები მკაცრ აუცილებლობას ნებისმიერ ნაკლებად მკაცრ ალტერნატივასთან შედარებით. იძულებითი პატიმრობის ხანგრძლივობა და მისი პრაქტიკაში განხორციელების გზა ამ კონტექსტში რელევანტურია.

ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლოებზე წვდომის მოდალობათა ადაპტირებას, იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, რომლებიც პროცედურული მოთხოვნების გულმოდგინედ დაცვას მოითხოვს (მაგ.: სამართალწარმოების მხარე მოწყვლადი პირია, საოჯახო და შრომითი დავები, და ა.შ.). პოლიციის საპატიმრო დაწესებულებაში ხანგრძლივმა დაკავებამ ან თავისუფლების აღკვეთის შესახებ სასამართლო განხილვის დაყოვნებამ შეიძლება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს.

ცხადია, მე-15 მუხლით გათვალისწინებულმა გადახვევებმა შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით დასაშვები ღონისძიებებისა და სახელმწიფო ორგანოების მანევრირების ფარგლების გაფართოება გარკვეული ვადებისა და სხვა ჩვეულებრივი საპროცესო მოთხოვნების დაცვასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი საფუძველის ან დროული სასამართლო განხილვის გარეშე დაკავების აკრძალვა და დაკავებულთა არსებითი საპროცესო გარანტიები (როგორცაა ექიმის თუ ადვოკატის ხელმისაწვდომობა, ან ახლობელთან დაკავშირება) დაცული უნდა იყოს არსებულ გარემოებებშიც. სახელმწიფოებს ასევე აკისრიათ ზოგადი ვალდებულება, რომ სასამართლო პროცესისას დაკმაყოფილდეს სამართლიანობის ძირითადი მოთხოვნა (როგორცაა მხარეთა თანასწორობის პრინციპი) და დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ასევე, აღიკვეთოს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც უთანაბრდება მოსამართლეთა და სასამართლოების დამოუკიდებლობაში ჩარევას.

3.3. პირადი ცხოვრების უფლება, სინდისის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება

კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით ეფექტიანი სარგებლობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების

²¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *გურა და სხვები იტალიის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება*, 19 თებერვალი 1998, *მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ* 1998-I, გვ. 227, § 58 ; *ონერილიდიზი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], no. 48939/99, 30 ნოემბერი 2004.

საზომია. მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილია კანონით და არის ლეგიტიმური, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიზნის მიღწევის თანაზომიერი. ჩვეულებრივი სოციალური საქმიანობის მნიშვნელოვანმა შეზღუდვებმა, მათ შორის, საყოველთაო სალოცავ ადგილებზე წვდომის, საზოგადოებრივი თავშეყრისა და საქორწინო თუ დაკრძალვის ცერემონიებთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, შეიძლება გამოიწვიოს დასაბუთებული საჩივრები, ზემოაღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით. ხელისუფლებას ევალება, რომ ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, ეფუძნება თუ არა დათქმას, იყოს მკაფიოდ გათვალისწინებული კანონით, საკონსტიტუციო გარანტიების შესაბამისი და დასახული მიზნის თანაზომიერი.²²

ზემოხსენებულ უფლებებზე გაძლიერებული შეზღუდვები შეიძლება სრულად გამართლებული იყოს კრიზისის დროს, თუმცა მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქციები შემოფოთებას იწვევს და მკაცრად უნდა შეისწავლოს. გამონაკლისმა ვითარებებმა არ უნდა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი ზომების გადაჭარბებით გამოყენება. სამართლიანი ბალანსი იძულებასა და პრევენციას შორის არის ყველაზე შესაფერისი - თუ არა ერთადერთი - გზა კონვენციის თანაზომიერების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფალი და დროული მიწოდება, გადამწყვეტი ფაქტორია, რათა მედიამ შეძლოს პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. მედიას და პროფესიონალ ჟურნალისტებს, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებლებს, საკვანძო როლი და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოებისთვის დროული, ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მიწოდების, ისევე, როგორც პანიკის თავიდან აცილებისა და ადამიანების თანამშრომლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. მათ უნდა დაიცვან პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, ამრიგად, მოსახლეობას მიაწოდონ კრიზისთან დაკავშირებული ავტორიტეტული შეტყობინებები და თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებისა ან გაზვიადებისგან (რომ აღარაფერი ვთქვათ საეჭვო ან სენსაციებზე ორიენტირებულ მასალაზე). განსაკუთრებული გარემოებები პასუხისმგებლიან ჟურნალისტებს აიძულებს, თავი შეიკავონ შეზღუდული გამოყენებისთვის გამოიზნული სამთავრობო ინფორმაციის გამჟღავნებისგან, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაცია უფრო მკაცრი იზოლაციის პოლიტიკის სამომავლო ღონისძიებათა შესახებ.²³ საზოგადოებას ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.²⁴ ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომის რაიმე შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნების თანაზომიერი.

ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (“ტრომსოს კონვენცია”) აღნიშნავს გამჭვირვალობის საჭიროებას და ადგენს, რომ საჯარო ხელისუფლებამ, საკუთარი ინიციატივით და საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიიღოს ოფიციალური დოკუმენტების გასაჯაროებისთვის აუცილებელი ზომები, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებულ მონაწილეობას საჯარო ინტერესის საკითხებში.

ამავდროულად, პანდემიის შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთადერთი არხი. ეს გამოიწვევს ცენზურას და ლეგიტიმური ინტერესის ჩახშობას. ჟურნალისტებს, მედიას, სამედიცინო სფეროს პროფესიონალებს, სამოქალაქო საზოგადოების

22 იხ. მეჰმეთ ჰასან ალთანი თურქეთის წინააღმდეგ, 13237/17, 20 მარტი 2018; რაც შეეხება შვედების თავისუფლებას, იხ. ლაშმანკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, no. 57818/09, 7 თებერვალი 2017, აზხაც 434; ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დემონსტრაციის ზოგადი აკრძალვა დასაშვებია თუ არსებობს მის შედეგად არეულობის რეალური საფრთხე, რომელიც უშუალოდ ალკვეთილ იქნას სხვა, ნაკლებ მკაცრი ღონისძიებით და თუ აკრძალვის დემონსტრაციაზე ზემოქმედების ნაკლოვანებას მკაფიოდ გადაწონის უსაფრთხოების მოსაზრებები, რომელიც ამართლებს მას.

23 იხ. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო რეკომენდაციები კრიზისის დროს გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის შესახებ.

²⁴ იხ., მაგალითად, *მაგარ ჰელსინკი* [GC], პუნქტი 156-170).

აქტივისტებსა და ფართო საზოგადოებას უნდა შეეძლოს ხელისუფლების კრიტიკა და კრიზისზე მათი რეაგირების შესწავლა. გარკვეული თემების ნებისმიერი წინასწარი შეზღუდვა, მედიასაშუალებების დახურვა ან ინტერნეტკომუნიკაციის პლატფორმებზე წვდომის სრული დაბლოკვა მოითხოვს ფრთხილად შესწავლას და გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.²⁵ პანდემია არ უნდა გამოიყენონ მამხილებელთა (იხ. [რეკომენდაცია CM/Rec\(2014\)7](#) მამხილებელთა დაცვის შესახებ)²⁶ ან პოლიტიკურ ოპონენტთა გასაჩუმებლად.²⁷ დეზინფორმაციის მავნე გავრცელებას შეიძლება ვებრძოლოთ გამოქვეყნების შემდგომი სანქციებით და სამთავრობო საინფორმაციო კამპანიებით. სახელმწიფოებმა ონლაინ პლატფორმებსა და მედიასთან ერთად უნდა იმუშაონ, რათა თავიდან აიცილონ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება; ასევე, მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ ახალი ამბებისა და ინფორმაციის ზოგადად სანდო წყაროებს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და დამუშავების ახალი ტექნოლოგიები პანდემიის შეკავებისა და დაძლევის საშუალებას იძლევა. მონიტორინგი, მიკვლევა და პროგნოზირება ეპიდემიური მეთვალყურეობის გადაწყვეტი ნაბიჯებია. არსებული დახვეწილი ციფრული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების სიმრავლემ და სიჭარბემ (გეოლოკაციური მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, სახის ამოცნობა, სოციალური მედიის აპლიკაციები) შესაძლოა ხელი შეუწყოს ამგვარ ეპიდემიოლოგიურ მეთვალყურეობას.

ამავე დროს, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტრუზიული პოტენციალი არ უნდა დარჩეს შემოწმებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის საჭიროების ბალანსის დაცვის გარეშე. მონაცემთა დაცვის პრინციპები და ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია (ასევე, მისი გადასინჯული ვერსია, მოხსენიებული, როგორც "კონვენცია 108+"²⁸) ყოველთვის იძლეოდა ბალანსის შენარჩუნების საშუალებას მაღალ დაცვით სტანდარტებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას შორის.

კონვენცია მონაცემთა დაცვის ჩვეულებრივი წესებიდან გამონაკლისებს უშვებს შეზღუდული ვადითა და შესაბამისი გარანტიებით (მაგ.: ანონიმიზაცია), ისევე როგორც ეფექტიანი ზედამხედველობითი ჩარჩოს არსებობის შემთხვევაში, რათა უზრუნველყოს მონაცემთა ლეგიტიმური და პასუხისმგებლიანი გზებით შეგროვება, ანალიზი, შენახვა და გაზიარება. პერსონალური მონაცემების ფართომასშტაბიანი დამუშავება ხელოვნური ინტელექტის საშუალებით უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამეცნიერო მტკიცებულება დამაჯერებლად აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოტენციური სარგებელი აჭარბებს ალტერნატიულ, ნაკლებად ინტრუზიული გადაწყვეტების სარგებელს. ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტულ ქსელს²⁹ და მის პარტნიორებს შეუძლიათ ამ მხრივ ცოდნის გაზიარება.

3.4. დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 ოქმის 1-ლი მუხლი, ევროპის სოციალური ქარტიის მუხლი „ე“) და მრავალფეროვნებასა და ინკლუზიასთან დაკავშირებული სტანდარტები

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი უკიდურესად რელევანტურია მოცემულ კონტექსტში. როდესაც სასამართლო შეაფასებს კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევების

²⁵ კუმპანა მაზარე [GC], პუნქტი 118.

²⁶ <https://www.bbc.com/news/world-asia-china-51403795>

²⁷ იხ. ევროპის საბჭოს [სახელმძღვანელო რეკომენდაციები კრიზისის დროს გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის შესახებ](#).

²⁸ პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისგან დაცვის შესახებ კონვენციის თანამედროვე ვარიანტი (CETS 223): https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807c65bf

²⁹ ხელოვნური ინტელექტის შესახებ სპეციალური კომიტეტი, CAHAI

³⁰ ECtHR, *ა. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (GC), 3455/05, 19 თებერვალი, 2009, §§ 182-190.

„მკაცრ აუცილებლობას“, ასევე შეისწავლის, ხომ არ იწვევდა ეს ღონისძიებები სხვადასხვა კატეგორიის პირებს შორის გაუმართლებელ დისკრიმინაციას.³⁰ ამასთან, დისკრიმინაციის გარკვეული ფორმები შეიძლება გაუთანაბრდეს მე-3 მუხლით აკრძალულ ღირსების შემლახველ მოპყრობას, რომლიდან გადახვევაც დაუშვებელია.³¹ ამასთან, დაუცველ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია.³² ამრიგად, დისკრიმინაციის აკრძალვა შესაძლოა მოიაზრებდეს პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას არსებითი თანასწორობის მისაღწევად.³³ ამავდროულად ითვალისწინებს ევროპის სოციალური ქარტია (მუხლი „ე“).³⁴ ამ თვალსაზრისით, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის და რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის მრავალი დებულება, ასევე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციები განხილული უნდა იყოს, როგორც თანასწორობისა და არადისკრიმინაციული პრინციპების გამოხატვა.

ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლის ფარგლებში დღეს განხორციელებულმა განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა წამოჭრას კითხვები მათ პოტენციურ დისკრიმინაციულ შედეგებთან დაკავშირებით. მაგალითად, კონვენციით (1-ლი ოქმის მე-2 მუხლი) და ევროპის სოციალური ქარტიით (მე-17 მუხლი) გათვალისწინებული განათლების უფლება არსებითად დაცული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი უზრუნველყოფის გზები შესაძლოა ადაპტაციას მოითხოვდეს. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველი ჯგუფების მიერ განთლების უფლებით სარგებლობას და საგანმანათლებლო საშუალებებსა თუ მასალებზე თანაბარ წვდომას იზოლაციის პირობებში. მზადების ეტაპზე ბოშების, მიგრანტების, ეროვნული უმცირესობებისა და ლგბტი პირების წინაშე მდგარი სირთულეებისა და რისკების დეტალური კვლევა, ისევე, როგორც შესანიშნავი კონკრეტული ინკლუზიური პრაქტიკები, რომლებიც კრიზისის დროს უკვე მიღებულია ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში.³⁵

4. დანაშაულისგან დაცვა; დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა

ინციდენტები და მტკიცებულებები სულ უფრო ნათელს ხდის, რომ იზოლირებისა და ჩაკეტვის პოლიტიკა იწვევს ოჯახში ძალადობის, ასევე, სექსუალური და გენდერული ძალადობის ზრდას და, შესაბამისად, დაცვის მომატებულ საჭიროებას. მისასალმებელია იმ წევრ სახელმწიფოთა მიდგომა, რომლებიც სტამბოლის კონვენციის³⁶ სულისკვეთებით ემებენ გზებს, რათა განაგრძონ ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა იზოლირებულ რეჟიმზე მორგებული მხარდაჭერა და დაცვის სერვისების მიწოდება. ევროპის საბჭოს შეუძლია, გაავრცელოს ინფორმაცია მის წევრ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, მაგალითად, მსხვერპლის მიერ ძალადობის ინციდენტთა შეტყობინების ალტერნატიული საშუალებების დაშვებაზე.³⁷ ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციურ საშუალებათა გათვალისწინება, რათა ბავშვებს ჰქონდეთ წვდომა დახმარებასა და ცხელ ხაზებზე, ლანსაროტის კონვენციის (ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ) დებულებათა შესაბამისად და შეძლონ ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის შეტყობინება

³¹ ECtHR, *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* (GC), 25781/94, 10 მაისი, 2001, §§ 312-315.

³² იხ., მაგ., ECtHR, *ჰორვათი და ქისი უნგრეთის წინააღმდეგ*, 11146/11, 29 იანვარი, 2013.

³³ ECtHR, *ჰორვათი და ქისი უნგრეთის წინააღმდეგ*, 11146/11, 29 იანვარი 2013, § 116; ECtHR, *ქამი თურქეთის წინააღმდეგ*, 51500/08, 23 თებერვალი, 2016. ასევე იხ. კონვენციის მე-12 ოქმის განმარტებითი მოხსენება.

³⁴ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის (ECSR) თანახმად, დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს შედარებით ვითარებაში მყოფ პირებს შორის არსებული ყველა შესაბამისი განსხვავების სათანადოდ და პოზიტიურ ჭრილში გაუთვალისწინებლობით, ან თუ ვერ მოხდება სათანადო ნაბიჯების გადადგმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საყოველთაო უფლებათა და კოლექტიურ სიკეთეთა ჰემონარტი ხელმისაწვდომობა ყველას მიერ და ყველასთვის. იხ., მაგ., ECSR, *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL) იტალიის წინააღმდეგ*, საჩივარი No. 91/2013, 12 ოქტომბერი, 2015, § 237; ECSR, *Confédération française démocratique du travail (CFDT) საფრანგეთის წინააღმდეგ*, საჩივარი No. 50/2008, 2009 წლის 9 სექტემბერის არსებითი გადაწყვეტილება, §§ 39 და 41.

³⁵ კვლევა მზადდება ახალი ანტიდისკრიმინაციული, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის (CDADI) საკოორდინაციო კომიტეტის სამდივნოს მიერ, პირველ შეხვედრაზე განსახილველად. მალე მის ვებგვერდზე გამოქვეყნდება შესავალი სიტყვა.

³⁶ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, CETS No. 2010, სტამბოლი, 11 მაისი 2011: <https://www.coe.int/conventions/treaty/210>

³⁷ იხ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2020 წლის 30 მარტის განცხადება (<https://www.coe.int/en/web/portal/-/covid-19-crisis-secretary-general-concerned-about-increased-risk-of-domestic-violence>) და GREVIO-ის პრეზიდენტის 2020 წლის 24 მარტის განცხადება: <https://rm.coe.int/grevio-statement-covid-24-march-2020/pdf/a16809cf55e>

პანდემიის განმავლობაში.³⁸ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი შეიძლება კიდევ უფრო დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სამართალდამცველი ორგანოებისა და მათი მხარდამჭერი სამსახურების (როგორცაა თავშესაფრები) შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე.³⁹

თანამედროვე საზოგადოება, როგორც არასდროს, დამოკიდებულია კომპიუტერულ სისტემებზე და კრიზისის დროს მავნე განზრახვის მქონე პირებმა შესაძლოა უფრო მეტად ისარგებლონ ამ დამოკიდებულებით (თაღლითური სქემები, „ფიშინგის“ კამპანიები და საზიანო პროგრამების გავრცელება COVID-19-ზე ინფორმაციისა თუ რჩევების შემცველი ერთი შეხედვით ნამდვილი ვებგვერდებიდან, გამოიყენება კომპიუტერის დასავირუსებლად, მომხმარებლის პირადი მონაცემების მისაღებად, ან თაღლითური გადახდებისათვის). ბავშვებიც არ არიან დაცულნი კიბერსივრცეში არსებული რისკებისგან, ხოლო სკოლების დახურვა და ინტერნეტისა თუ სოციალური მედიის მომატებული მოხმარება უარყოფითად აისახება მათ უსაფრთხოებაზე. ამასთან, კორონავირუსის აფეთქებით კრიმინალებს, სამწუხაროდ, ახალი შესაძლებლობები მიეცათ, რათა ისარგებლონ სამედიცინო, პერსონალური დაცვისა და ჰიგიენის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნით. ეს მოიცავს ყალბ წამლებსა თუ სამედიცინო მოწყობილობებს, როგორცაა COVID-19-ის ტესტები, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ სივრცეში. ყალბი სამედიცინო პროდუქტების წარმოება და გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი რისკია და საფრთხეს უქმის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებებს. სისხლის სამართლის ორგანოებმა სრულად უნდა ითანამშრომლონ, რათა შეძლონ ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოვლენა, გამოძიება, კვალიფიცირება და სამართლებრივი დევნა. ევროპის საბჭოს კონვენციების (კიბერდანაშაულის (ბუდაპეშტის), MEDICRIME-ს⁴⁰ და ლანსაროტის კონვენციები) ფარგლებში, მხარეები მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა გააუმჯობესონ სისხლის სამართლის დებულებები, საპროცესო უფლებამოსილებები და საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლებიც აუცილებელია ამ საფრთხეების დასაძლევად.

5. შემდეგი ნაბიჯები: ევროპის საბჭო უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე

ევროპის საბჭო ევროპაში მდგრადი მშვიდობის აღსადგენად შეიქმნა ყველაზე კატასტროფული ომის შემდეგ. 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში მან ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, იქცა რა პანევროპულ ორგანიზაციად უნიკალური ინსტიტუტებით, რომლებიც მსოფლიოსთვის სამაგალითო გახდა. გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ჩვენი საზოგადოებები დგანან, უპრეცედენტოა. კრიზისის მწვავე ფაზის შემდეგაც კი, ჩვენს საზოგადოებებს მოუწევთ, გამონახონ სოციალური და ეკონომიკური ზიანის გამოსწორების საშუალებები და კიდევ უფრო გაამყარონ ნდობა ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი. სხვა საკითხებთან ერთად, საჭიროა ფართო რეფლექსიის წამოწყება ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი პირებისა და ჯგუფების დაცვასთან - ისევე, როგორც მათი უფლებების უზრუნველყოფის უფრო მდგრადი და სოლიდარული მართვის მოდელის შექმნასთან - დაკავშირებით.

ევროპის საბჭო განაგრძობს ყველა ძალისხმევას, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს მიმდინარე კრიზისისას და შემდგომ პერიოდში. მისი ფართო სპექტრის ეფექტიანი სამართლებრივი ინსტრუმენტები, ტექნიკური ექსპერტიზა და ეროვნულ ექსპერტთა ფართო ქსელები მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს სთავაზობს მთავრობებსა და მოქალაქეებს, რათა იპოვონ რეაგირების საუკეთესო და ყველაზე მდგრადი გზა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად, ჩვენი საზოგადოებების დემოკრატიული ქსოვილის შესანარჩუნებლად და კრიზისის სოციალური შედეგების შემსუბუქებისათვის.

³⁸ ლანსაროტის კომიტეტის თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარის განცხადება: <https://rm.coe.int/covid-19-lc-statement-en-final/16809e17ae>

³⁹ იხ. GRETA-ის 202 წლის 3 აპრილის განცხადება

⁴⁰ MEDICRIME კონვენციის ხელშემკვერელ მხარეთა კომიტეტი გამოაქვეყნებს რჩევებს კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით COVID-19-ის კონტექსტში (<https://www.coe.int/en/web/medicrime/home>)

ევროპის საბჭოს საწესდებო ორგანოები, ყველა ინსტიტუტი და სამდივნო მობილიზებულია და ძალისხმევას არ იშურებს, რათა ორგანიზაციის ინსტრუმენტები და რესურსები გამოიყენოს ინფორმაციის, კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გასაზიარებლად ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებთან, და მოიძებნოს საერთო პასუხი ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ორგანიზაციის ყველა პროგრამა და საქმიანობა (მათ შორის, მოთხოვნის საფუძველზე წევრ და არაწევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის პროგრამები) ადაპტირებული იქნება, რათა მოიცვას კომპონენტები, რომლებითაც ორგანიზაციის წვლილი მაქსიმალურად აქტუალური, დროული და კონკრეტული იქნება.